დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N 03/20 ოქმით
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 მარტის N 05/21 ოქმით
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბერი N 16/21 ოქმით
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2022 წლის 7 ნოემბრის N17/22 ოქმით

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის

ვერიფიკაციის პროცედურა და მექანიზმები

COLLEGE

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) ვერიფიკაციის პროცედურა და მექანიზმები (შემდგომში - მექანიზმები) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების და დაწესებულების წესდების საფუძველზე.
2. კოლეჯი თავის საქმიანობას ახორციელებს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისად. ვერიფიკაციის მიზანია, დაწესებულებაში გამოყენებული პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა იყოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი.

მუხლი 2. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია

1. შეფასების სისტემის გამართულად მუშაობისთვის დაწესებულებაში ამოქმედებულია ვერიფიკციის მექანიზმები.
2. ვერიფიკაცია არის კოლეჯში არსებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი.
3. ვერიფიკაცია ეხება როგორც განმსაზღვრელ ისე შუალედურ განმავითარებელ შეფასებას.
4. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული **შეფასების სისტემა** უნდა იყოს:



3.1 ვალიდური - შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

- **ეხება- ინსტრუმენტს;**
- **მოწმდება- ინსტრუმენტის მეშვეობით.**

3.2 სანდო - შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.

- **ეხება შეფასების მტკიცებულებებს**

3.3 გამჭვირვალე - შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.

- **ეხება შეფასების პროცესს**

3.4 სამართლიანი - შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

3.5 ობიექტური - შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

- **ეხება შეფასების პროცესს**
- **მოწმდება შეფასების მტკიცებულებები და უწყისები**

მოთხოვნები შეფასების სისტემის მიმართ	**განმარტება**	**სისტემის რომელ ნაწილს ეხება**	**შემოწმების მიდგომა**
ვალიდური	შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.	შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა დარგის ექსპერტის მიერ
სანდო	შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.	შეფასების მტკიცებულება	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის ექსპერტის მიერ
გამჭვირვალე	შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პიროსათვის.	შეფასების პროცესი	შეფასების რეგულაციის შესწავლა, შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში), შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება (შესაძლებლობის შემთხვევაში).
სამართლიანი	შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.	შეფასების პროცესი	შეფასების რეგულაციის შესწავლა, შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში), შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება (შესაძლებლობის შემთხვევაში).
ობიექტური	შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.	შეფასების პროცესი	შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა

მუხლი 3. ვერიფიკაციის მიმართულებები

1. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:

1.1 შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტების ვერიფიკაცია (იგულისხმება უკვე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები, რომელსაც ვალიდაცია აქვს გავლილი)

1.1.1 შეფასების ინსტრუმენტი **ვალიდურია,** როდესაც:

- პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების მიზნის შესაბამისად გეგმავს შეფასების პროცესს;
- შეფასების ინსტრუმენტები შერჩეულია შეფასების მიზნიდან გამომდინარე;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე წარმოაჩინოს კონკრეტული კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.
- საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიღებულ იქნას სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებით.

შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის კრიტერიუმები	
მეთოდოლოგიური ნაწილი	
გრძელვადიანი პროგრამებისთვის	**მოკლევადიანი პროგრამებისთვის**
პროგრამის დასახელება, მოსული და კოდი ზუსტად არის გადმოტანილი	პროგრამის დასახელება ზუსტად არის გადმოტანილი
მითითებულია პროფესიული სტუდენტისმასწავლებლის სახელი და გვარი	მითითებულია განმახორციელებლის სახელი და გვარი
მითითებულია პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი	მითითებულია მსმენლის სახელი და გვარი
შესრულების კრიტერიუმები ზუსტად არის გადმოტანილი	მითითებულია შესაფასებელი სწავლის შედეგები
სწორად არის არჩეული შეფასების მიმართულება	სწორად არის არჩეული შეფასების მიმართულება
სწორად არის დაფიქსირებული შეფასების მტკიცებულების სახე	სწორად არის დაფიქსირებული შეფასების მტკიცებულების სახე
დაფიქსირებულია შეფასებისთვის განკუთვნილი დრო	დაფიქსირებულია შეფასებისთვის განკუთვნილი დრო
სწორად არის დაფიქსირებული შეფასების ადგილი/გარემო	სწორად არის დაფიქსირებული შეფასების ადგილი/გარემო
დადგენილია ხარვეზის მინიმალური ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი	დადგენილია ხარვეზის მინიმალური ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი
აღწერილია შეფასების პროცესის პირობები (ინსტრუქცია დაწვრილებითაა მოცემული)	აღწერილია შეფასების პროცესის პირობები (ინსტრუქცია დაწვრილებითაა მოცემული)
შინაარსობრივი ნაწილი	
შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული კითხვები/დავალებები სრულად ფარავს მისაღწევი სწავლის შედეგებს	
შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული კითხვების/დავალებების რაოდენობა საკმარისია მისაღწევი სწავლის შედეგის დასადასტურებლად	
ხარვეზის მინიმალური ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი ადეკვატურად არის განსაზღვრული	
შეფასებისთვის განკუთვნილი დრო საკმარისია	

1.2 პროცესის ვერიფიკაცია

1.2.1 შეფასების სისტემა **ობიექტური, სამართლიანი და გამჭირვალეა** თუ:

- მასში ნათლად არის განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. სასურველია, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პროფესიული სტუდენტისათვის.
- მიუხედავად იმისა, შეფასება ხორციელდება წერითი/ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, ტესტისა თუ სხვა გამოკითხვის მეთოდით, პრინციპი არის ერთგვაროვანი.
- პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შერჩეულია შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტი და სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო.
- შეფასების ინსტრუმენტი არის ადვილად გასაგები და პროცესში ჩართულ ყველა პირს, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმის მისი შინაარსი. თუმცა, სიმარტივე გამორიცხავს მტკიცებულებებიდან რომელიმეს უგულებელყოფას.

1.3 უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია

1.3.1 შეფასების სისტემა **სანდოა** თუ:

- შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებს;
- გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები;
- ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
- ის უცვლელია განსაზღვრული დროის განმავლობაში.
- საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიღებულ იქნას სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებით.

2. მოდულის შედეგისთვის სათანადო მტკიცებულება შეიძლება იყოს:
   - შევსებული ტესტი
   - ელექტრონული მტკიებულება
   - ე.წ „ჩექლისტი“
   - აუდიოჩანაწერი
   - ფოტოსურათი
   - ვიდო ჩანაწერი

მუხლი 4. ვერიფიკაციის ჯგუფი

1. ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც იქმნება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
2. ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობაში არ უნდა მონაწილეობდნენ ის პირები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ შეფასების ინსტრუმენტის შექმნასა და ვალიდაციაში.
3. ვერიფიკაციის ჯგუფში შეიძლება შედიოდეს:
   4.1 ხარისხის მართვის მენეჯერი - ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს;
   4.2 კოლეჯის დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით;
   3.3 პროგრამის ხელმძღვანელი - მონაწილეობს ვერიფიკაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაცვით;

3.4 პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი/ინსტრუქტორი - მონაწილეობს ვერიფიკაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაცვით;

3.5 მემორანდუმით/ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი

3.6 სხვა კომპეტენტური პირი, რომელიც არ მოდის ინტერესთა კონფლიქტში

5. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი არის ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს. იგი უფლებამოსილია თვითონ განახორციელოს ვერიფიკაციის ის ნაწილი, რომელიც არ მოითხოვს დარგის კომპეტენციას.
6. ვერიფიკაციის პროცესში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში.
7. ვერიფიკაციის ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომლის მიხედვითაც ახორციელებს ვერიფიკაციას.
8. ვერიფიკაციის დასკვნისთვის კოლეჯში შემუშავებულია ფორმა რომელიც ივსება ვერიფიკაციის მონაწილე თითოეული პირის მიერ (დანართი #2)

მუხლი 5. ვერიფიკაციის პროცესი

1. ხარისხის მართვის მენეჯერი, ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად, სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად (გეგმის შემუშავება ხორციელდება დანართი#1-ზე დაყრდნობით).
2. ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სწავლის დაწყებიდან მაქსიმუმ 6 თვეში ერთხელ და გრძელდება მაქსიმუმ 2 თვის განმავლობაში (დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენი კრიტიკული რისკ-ფაქტორი გამოიკვეთება).
3. ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

   3.1 ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა;

   3.2 შიდა ვერიფიკაციის სამუშაო გეგმის შექმნა;

   3.3 რისკების განსაზღვრა;

   3.4 ვერიფიკაციის განხორციელება;

   3.5 შედეგის ანალიზი;

   3.6 უკუკავშირი / დაგეგმვა.
4. ვერიფიკაციის პროცესში მთავარია ვერიკაციის ჯგუფმა სწორად განსაზღვროს რისკები. კერძოდ:

   4.1 რამდენი მიმართულების ვერიფიკაციას გაართმევს თავს;

   4.2 რამდენად სწორადაა განსაზღვრული რისკები;

   4.3 რამდენად მართებულადაა შერჩეული შესამოწმებელი ერთეული.

მუხლი 6. რისკების განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. რისკების განსაზღვრისათვის დაწესებულებას აქვს რისკების შეფასების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ყველა რისკი ფასდება შესაბამისი კოეფიციენტით.
2. რისკების რეესტრში ასახული გარემოებები არის კრიტიკული, მაღალი, საშუალო ან დაბალი რისკფაქტორი.
3. დაწესებულება პირველ ეტაპზე ვერიფიკაციის პროცესს ახორციელებს ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე გარემოებების ჭრილში, შემდგომი ეტაპი კი მოიცავს საშუალო/დაბალ რისკებს.

   3.1 დაბალი - 1 ქულა (შერჩევის მოცულობა 30-40%)

   3.2 საშუალო - 2 ქულა (შერჩევის მოცულობა 50-60%)

   3.3 მაღალი - 3 ქულა (შერჩევის მოცულობა 70-80%)

   3.4 კრიტიკული - 4 ქულა (შერჩევის მოცულობა 100%)

რისკების განსაზღვრის მეთოდოლოგია

გარემოება	შესაძლო რისკი	კოეფიც იენტი	შერჩევის მოცულობა	შენიშვნა
დამწყები მასწავლებელი	გამოუცდელობა შეფასების ინსტრუმენტის შექმნასა და შეფასებაში.	3	შემოწმდება გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების 70-80%	მოწმდება დამწყები მასწავლებლის მიერ განხორციელებული ყველა მოდულის ყველა გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი და მტკიცებულება
სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება	შეუმოწმებლობის გამო, რისკი იმისა რომ სათანადოდ აღარ ასრულებს დავალებას.	1	შემოწმდება გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების 30-40%	მასწავლებელი და მის მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები/მტკიცებულებებ ი აირჩევა შემთხვევითი პრინციპით
ერთი ინსტრუმენტი, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;	ყველა შედეგის არასათანადო შეფასების რისკი	2	შემოწმდება გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების 50-60%	მოწმდება ყველა ის ინსტრუმენტი და მტკიცებულება რომელიც ერთდროულად რამდენიმე სწავლის შედეგს აფასებდა
გასაჩივრებული შეფასების შედეგი	პროცედურების დარღვევით ჩატარებული შეფასება	4	შემოწმდება გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების 100%	მოწმდება ის გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი და მტკიცებულება რომელიც გასაჩივრდა
წინა ვერიფიკაციის დროს უარყოფითი შედეგები	განმეორებული შეცდომები	4	შემოწმდება გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების 100%	მოწმდება მასწავლებლის მიერ განხორციელებული ყველა მოდულის ყველა გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი და მტკიცებულება
სხვა...				

მუხლი 7. ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნა, დასკვნის განხილვა და სამოქმედო გეგმა

1. ვერიფიკაციის ჯგუფის ყოველი შეხვედრის შემდეგ იწერება ვერიფიკაციის დასკვნა, რომელსაც ხელს აწერს პროცესის ხელმძღვანელი, რომელიც სრულ პასუხისმგებლობას იღებს პროცესის წარმართვაზე.
2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნის ფორმა (დანართი N2), რომელიც აუცილებლად მოიცავს შემდეგ მონაცემებს:
   - 2.1 მოდული/სწავლის შედეგი;
   - 2.2 შემფასებელი;
   - 2.3 შეფასების პერიოდი;
   - 2.4 ვერიფიკატორი;
   - 2.5 ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი.

3. ვერიფიკაციის დასკვნას ჯგუფი დაწესებულების დირექტორს წარუდგენს შემოწმების პროცესის დასრულებიდან მაქსიმუმ 1 კვირაში.
4. ვერიფიკაციის დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი.
5. შემდგომი ეტაპი არის დასკვნის განხილვა. ვერიფიკაციის დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს.
6. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ვერიფიკაციის დასკვნის შედეგებსა და შემუშავებულ რეკომენდაციებს პრეზენტაციის სახით წარუდგენს ყველა დაინტერესებულ პირს.
7. კოლეჯი, ვერიფიკაციის დასკვნის განხილვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე, შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას.
8. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა, რომელთა განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული უნდა იყოს: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი.
9. თუ სამოქმედო გეგმა კონკრეტულ პროფესიულ განათლების მასწავლებელს/მოდულს ეხება, გეგმა იწერება ცალკე და განიხილება ინდივიდუალურად აღნიშნულ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად.
10. კოლეჯი უფლებამოსილია გადაწყვიტოს აღნიშნული სამოქმედო გეგმა გახდეს წლიური გეგმის ნაწილი თუ ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმად ჩამოყალიბდეს კონკრეტული მასწავლებლის ან მოდულისათვის.
11. კოლეჯი უკუკავშირისათვის ვერიფიკაციის დასკვნასა და სამოქმედო გეგმას აცნობს დაინტერესებულ მხარეებს, ზეპირი ან წერილობითი გზით.
12. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს.

დანართი#1

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი დაწესებულებაში ხორციელდება შემდეგი გეგმის მიხედვით, რომელშიც გაწერილია პროცესზე პასუხისმგებელი, პროცესში მონაწილე და პროცესის შესახებ ინფორმაციის გასაზიარებელი პირები:

- ეტაპზე პასუხისმგებელი
- მონაწილე
- ინფორმირება

პროცესის ეტაპი/ პასუხისმგებელი პირი/ მონაწილე	ხარისხის მართვის მენეჯერი	ვერიფიკატორი (განათლება)	ვერიფიკატორი (დარგი) პროგრამის ხელმძღვანელი, მასწავლებელი	ინსტრუმენტის შემდგენელი, მასწავლებელი	შემფასებელი, მასწავლებელი	სტუდენტი	სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი/ პროგრამის ხელმძღვანელი	დაწესებულების ხელმძღვანელი
ვერიფიკაციის გეგმის შედგენა								
ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა								
ვერიფიკატორების შერჩევა								
ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი								
შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება								
შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა								
ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა								
ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით								
მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება								
მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება								
მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება								

მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება								
შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება								
წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად								
შეფასების დროის საკმარისობის შეფასება								
შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება								
შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება								
შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება								
შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება								
მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით								
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა								
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრივ გარემობებზე								
შეთანხმება რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში)								
ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენა								
რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში)								
ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში)								
რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში)								

დანართი #2

ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა

საქართველოს უნივერსიეტის კოლეჯი

პროგრამაის დასახელება ----------
მოდული/სწავლის შედეგი ----------
შემფასებელი ----------
შეფასების პერიოდი ----------
ვერიფიკატორი/ები ----------
ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი ----------

ვერიფიკაციის კრიტერიუმები შეფასების სისტემის შემოწმებისას

- **ვალიდურობა -** შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით;
- **სანდოობა -** შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით;
- **გამჭვირვალეობა -** შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის;
- **სამართლიანობა** - შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული;
- **ობიექტურობა** - შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია				
შემოწმების მიდგომა	**ინდიკატორი**	**დიახ/ არა**	**მტკიცებულება არას შემთხვევაში**	**რეკომენდაცია**
	შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტი არის მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულების შესაბამისი			
მტკიცებულებათა შესწავლა **განათლების** ვერიფიკატორის მიერ	შეფასების ინსტრუმენტი აგებულია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის კრიტერიუმების შესაბამისად და შესაბამისობაშია კოლეჯში არსებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმასთან გრძელვადიანი/მოკლევადიანი პროგრამებისთვის.			
	შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.			
შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა **დარგის** ვერიფიკატორის მიერ	შეფასების ინსტრუმენტში დეტალურად არის აღწერილი დავალება და ზუსტად არის განსაზღვრული რომელი დავალებით ფასდება სწავლის შედეგი			
	შეფასების ინსტრუმენტში დეტალურად, სტუდენტისთვის გასაგებად არის განმარტებული ხარვეზის დასაშვები ნორმა			

შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია				
შემოწმების მიდგომა	**ინდიკატორი**	**დიახ/ არა**	**მტკიცებულება არას შემთხვევაში**	**რეკომენდაცია**
მტკიცებულებათა შესწავლა **განათლების** ვერიფიკატორის მიერ	ყველა სწავლის შედეგისათვის, თითოეული შეფასებული პირისათვის არსებობს მტკიცებულება			
	მტკიცებულება ავთენტურია, ანუ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება			
	მტკიცებულება შეფასებულია შემფასებილის მიერ, ნათლად ჩანს თითოეული დავალების შეფასება			
	მტკიცებულებას ახლავს შეფასების შედეგი, სადაც საბოლოოდ მონიშნულია სწავლის შედეგის დადასტურება/ვერ დადასტურება			
	ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული			
	სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შესრულებული			
მტკიცებულებათა შესწავლა **დარგის** ვერიფიკატორის მიერ	მტკიცებულება საკმარისია, ანუ მტკიცებულების მიხედვით შესაძლებელია დარწმუნება, რომ დავალება ყველა კრიტერიუმს შეესაბამება			
	მტკიცებულება ვალიდურია, ანუ ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო			

შეფასების პროცესის ვერიფიკაცია				
შემოწმების მიდგომა	**ინდიკატორი**	**დიახ/ არა**	**მტკიცებულება არას შემთხვევაში**	**რეკომენდაცია**
შეფასების რეგულაციის ან/და შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) **განათლების** ვერიფიკატორის მიერ	რეგულაცია ითვალისწინებს შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს			
შეფასებული პირის ინტერვიურება, სხვა მტკიცებულება - **განათლების** ვერიფიკატორი	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება იმგვარად, რომ არსებობს ამისი მტკიცებულება			
შეფასებული პირის ინტერვიურება - **განათლების** ვერიფიკატორის მიერ	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, და ფორმით რათა სტუდენტმა შეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება (არ უნდა მოხდეს ძალიან ადრე, რომ არ დაავიწყდეს. არ უნდა მოხდეს ყველა შეფასების პროცესის შესახებ ერთდროულად, რათა ვერ განასხვავოს)			
	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, რათა სტუდენტმა შეძლოს შეფასების პროცესისათვის ტექნიკური მომზადება			
	რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე პრაქტიკულად ხორციელდება			
შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) **დარგის** ვერიფიკატორის მიერ	შეფასებისათვის გამოყოფილი დრო საკმარისია			
	შეფასება შესაბამის გარემოშია დაგეგმილი			

	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა			
	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა			
შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება ან ჩანაწერის ნახვა (შესაძლებლობის შემთხვევაში) - **განათლებს** ვერიფიკატორი	შეფასების პროცესი განხორციელდა განსაზღვრული პირობების დაცვით			